საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4442/01
02/05/2022

4442-01-2-202205020955

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს
მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. N 2ა
ელ.ფოსტა: nberdzenishvili@cerberusfrontier.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 18 მარტის N 2627/01 წერილით გეცნობათ ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, მდ. ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით დასაზუსტებელი საკითხები.

სამინისტროს N 2627/01 წერილზე დამატებით, გაცნობებთ შემდეგს:

- ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნის, ,,საქართველოს ტყის კოდექსის” მე-13 ასევე, „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის 496-ე დადგენილების მე-13 მუხლის მოთხოვნები. ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; საჭიროა, წარმოდგენილ იქნას ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სატყეო ფართობზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია; გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების შესწავლის ნაწილში ყურადღება გამახვილდეს ტყის კომპონენტზე განსაკუთრებით (მათ შორის, დასაბუთდეს შემოთავაზებული ადგილის უალტერნატივობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა, ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ მოიცავს ტყის ტერიტორიას);

- თუ საქმიანობის შედეგად იგეგმება ხე-ტყის ჭრა, ცალ-ცალკე წარმოდგენილ იქნას, წითელი ნუსხისა და სხვა მცენარეების მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისები;

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა უზრუნველყოთ სამინისტროს N 2627/01 წერილში მითითებულ საკითხებთან ერთად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე